

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან  
დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და  
სოციალური დაცვის სამინისტროს  
პროფესიული განვითარების საბჭოს

## რ ე კ ო მ ე ნ დ ა ც ი ა

საქართველოს ორთოპედ ტრავმატოლოგების ასოციაციამ რეცენზირების მიზნით, განიხილა კლინიკური მდგომარეობის მართვის სახელმწიფო სტანდარტი (პროტოკოლი) თემაზე: **ოსტეოიდ ოსტეომას მცირეინვაზიური, ინტერვენციული მკურნალობა რადიოსიხშირული აბლაციის მეთოდით**. პროტოკოლის მიზანს წარმოადგენს მცირეინვაზიური, ინტერვენციული მეთოდის - რადიოსიხშირული აბლაციის მეთოდის დანერგვა საქართველოში ოსტეოიდ ოსტეომას მართვის ხარისხისა და კლინიკური გამოსავლების გაუმჯობესების მიზნით.

ოსტეოიდ ოსტეომა (იგივე, ოსტეოიდური ოსტეომა) არის კეთილთვისებიანი ძვლოვანი სიმსივნე, რომელიც შედგება ოსტეოიდების რედუცირებული ე.წ. ნიდუსისგან, სადაც არის ფაშარი სისხლძარღვოვანი ქსოვილი და მიმდებარე რეაქტიული ზონა. სიმსივნე შეიძლება განვითარდეს ძვლის ნებისმიერ ნაწილში (კიდურები, ხერხემალი, მენჯი), მაგრამ ყველაზე ხშირად გვხვდება ქვედა კიდურების ლულოვან ძვლებში. მისი დიამეტრი იშვიათად აღემატება 15 მმ-ს. ოსტეოიდ ოსტეომა გავრცელებულია ძირითადად ბავშვებში და ახალგაზრდა მოზრდილებში.

ბოლო წლებში ჩატარებულმა კვლევებმა და პრაქტიკულმა ჩარევებმა ცხადყო, რომ პერკუტანეალური მაღალი სიხშირის რადიოტალღებით პათოლოგიური კერის - ამ შემთხვევაში (ოსტეოიდ-ოსტეომის) აბლაცია წარმოადგენს უსაფრთხო და ეფექტური მკურნალობის ფორმას, განსხვავებით ტრადიციული ღია ქირურგიული წესით რეზექციასთან შედარებით. ასევე მისაღებია რთულად მისადგომ ანატომიურ მდებარეობებთან, რასაც ემატება მისი შედარებითი სტაციონარში დაყოვნების ხანმოკლეობა და დაბალი ღირებულება.

ოსტეოიდ ოსტეომას მკურნალობის ძირითადი პრინციპი არის ტკივილის კუპირება, რაც თავის მხრივ შესაძლებელია განხორციელდეს მცირე ინვაზიური მეთოდით, ანუ რადიოსიხშირული აბლაციის გზით. რადიოსიხშირული აბლაცია ეს

არის პათოლოგიური ქსოვილის (სიმსივნის, პათოლოგიურად შეცვლილი სისხლძარღვის და სხვ.) მცირეინვაზიური დესტრუქცია ქიმიური, ან სხვადასხვა ფიზიკური (უმეტესად თერმული) მეთოდის გამოყენებით. აბლაცია სრულდება რადიოლოგიური გამოსახვის მეთოდების (ულტრაბგერითი, რენტგენოლოგიური, ან კომპიუტერულ-ტომოგრაფიული) კონტროლით.

პროტოკოლის გამოყენება ხდება სხვადასხვა სპეციალობის ექიმების მიერ სტაციონარულ პირობებში, კერძოდ, პროტოკოლი განკუთვნილია იმ ექიმი-სპეციალისტებისთვის, რომლებსაც შეეხება აქვთ ოსტეოიდ ოსტეომას დიაგნოსტიკის, მკურნალობის ტაქტიკის განსაზღვრის (ორთოპედ-ტრავმატოლოგები, ონკოლოგები) და რადიოლოგიური გამოსახვის მეთოდებით განხორციელებული სამკურნალო ინტერვენციების ჩატარების პროცესთან (ინტერვენციულ მედიცინასთან, ასოცირებული დარგები, როგორებიცაა რადიოლოგია, ენდოვასკულარული ქირურგია).

საქართველოს ორთოპედ ტრავმატოლოგების ასოციაცია წარმოდგენილ პროტოკოლს რეკომენდაციას უწევს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს პროფესიული განვითარების საბჭოს წინაშე.

საქართველოს ორთოპედ ტრავმატოლოგთა  
საზოგადოების პრეზიდენტი:  
გურაბ ხაბეიშვილი  
ხელმოწერა: \_\_\_\_\_



რეკომენდაციის გაცემის თარიღი: 03.09.2020